ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N5

15.02.2022 *ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*
13:30 საათი *ბიუროს სხდომათა დარბაზი*

მიმდინარე წლის 15 თებერვალს, 13:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი), **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი) და **ირაკლი ემგვერაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილეები **მარიამ კვერნაძე** და **თამარ მელიქიშვილი,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე N01.10.07.001.995, N01.10.07.001.993 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაციისთვის" (ს/ნ:405332563) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-032202734-03; 27.01.2022).*
   მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ. ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე.
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში" ცვლილების შეტანისა და დაკისრებული/**

დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ:201990079) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე *(საფუძველი წერილი N12-03220413-03; 10.02.2022).* **მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე.

3. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება *(საფუძველი წერილი N12-032204167-03; 10.02.2022 წელი).*
მომხსენებელი - ლევან მიქავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
4. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის** საკითხი.
მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების, პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაციისთვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე განკარგულების პროექტი კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

მარიამ კვერნაძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განკარგვის შესახებ განკარულებას, აღნიშნული პროექტით მუნიციპალიტეტი ა(ა)იპ საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნულ ფედერაციას სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 10 წლის ვადით საცხენოსნო კომპლექსის მოწყობის მიზნით გადასცემს ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე 15 600 კვ.მ და 4 272 კვ.მ ფართობის ორ მიწის ნაკვეთს. ფედერაცია ვალდებულია, ორი წლის ვადაში მოაწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და განახორციელოს არანაკლები 4 600,0 ათასი ლარის ოდენობის ინვესტიცია.

აზრი გამოთქვეს:

ნინო კვიტაიშვილი - აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს შუაში აქვს გამყოფი ზოლი, რამდენად შესაძლებელია მათი ერთ კომპლექსად გამოყენება? ფედერაცია რატომ არ ახორციელებს ქონების შესყიდვას, თუ ასეთი ინვესტიციის განხორციელება შეუძლია. ეს პროექტი მიტოვებს ბევრ კითხვის ნიშნას.

მარიამ კვერნაძე - პროექტირების პროცესში დაზუსტდება და გაირკვევა, თუ როგორ გამოიყენებს სივრცეს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის ფედერაცია. განკარგულების მიხედვით

უზუფრუქტით გადაცემული ქონების ვადა 10 წლით განისაზღვრა, ინვესტიციის რაოდენობიდან გამომდინარე ფედერაციას აღებული ვალდებულებების შესრულება რომ უღირდეს. ხელშეკრულება ექვემდებარება მონიტორინგს, როგორც ვადის ასევე დადასტურების კუთხით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქალაქში მსგავსი სივრცე საკმაოდ დეფიციტურია. როგორც სპორტული პროფილის ა(ა)იპს ჩვენ ხელს ვუწყობთ. მიწის ნაკვეთის შეძენის შესაძლებლობა ფედერაციას რამდენად აქვს ვერ გეტყვით, ხოლო ინვესტორის მოზიდვის შესაძლებლობა რეალურია.

გიორგი ჩაკვეტაძე - აღნიშნულ ფედერაციას მინიჭებული აქვს სამინისტროს აღიარება, სპორტის ამ სახეობის განვითარებსითვის ესაჭიროებოდათ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და ხდება აღნიშნული ტერიტორიის გადაცემა. ხელშეკრულებაში ჩადებულია შესაბამისი მუხლები, რათა კეთილსინდისიერად შესრულდეს პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოხდება ქონების უკან წამოღება. აღნიშნული ფედერაცია არაა მოგებაზე ორიენტირებული მისი პროფილიდან გამომდინარე და აღნიშნული მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. სასურველია სამომავლოდ, თუ კომისიურად გავალთ საქალაქო სამსახურთან და ფედერაციასთან ერთად ადგილზე სიტუაციის შესწავლის მიზნით.

ავთანდილ ცინცაძე - დიდი დიღმის ტერიტორიაზე სპორტული წრეების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის სიმწირის გამო, მისასალმებელია აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის ქონების გადაცემა. კომისიურ ფორმატში გამართულ შეხვედრაზე ფედერაციას საკმაოდ დიდ თანხას ითხოვდნენ სახელმწიფოსგან, მას შემდეგ მათ მოიპოვეს სამინისტროს აღიარება და ვიმედოვნებ, რომ მოხდა მათი საწყისი პროექტის და მიზნების კორექტირება, უფრო რეალისტურ ჩარჩოებში.

ირაკლი გვილავა - მსგავსი ორგანიზაციებისთვის, ინვესტორებთან ურთიერთობისთვის და პოზიციონირებისთვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მხრიდან ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე N01.10.07.001.995, N01.10.07.001.993 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაციისთვის'' (ს/ნ:405332563) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე'' საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ავთანდილ ცინცაძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი (1).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე N01.10.07.001.995, N01.10.07.001.993 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს საცხენოსნო ხალხური

თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაციისთვის'' (ს/ნ:405332563) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

მარიამ კვერნაძე - ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ განცხადებით მიმართა ქონების მართვის სააგენტოს და ქვეყანაში შექმნილი ფორს-მაჟორული (COVID-19) ვითარებით გამოწვეული მნიშვნელოვნად გართულებული მდგომარეობის გამო, ითხოვა 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის 2022 წლის 31 ივლისამდე გადავადება და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება, რომელიც ამ დროისთვის შეადგენს 40,5 ათას ლარს.

აზრი გამოთქვეს:

ნინო კვიტაიშვილი - თუ არის შესაძლებელი, რომ მოხდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის გამიჯვნა და ცალ-ცალკე ეყაროს კენჭი ვადის გადაწევას და პირგასამტეხლოს ჩამოწერას? ფეხბურთის ფედერაციის ბიუჯეტიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს გადახდა იქნებოდა სწორი ნაბიჯი. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თუ არ იყო ფორსმაჟორული მდგომარეობა, რის გამოც მოხდა პირგასამტეხლოს დაკისრება, ორგანიზაციამ უნდა გადაიხადოს აღნიშნული საფასური.

გიორგი ჩაკვეტაძე - აღნიშნული სპორტული ინფრასტრუქტურა დასრულებულია და გამართულად მუშაობს. რომელიც FIFA-ს ,,ფორვარდის'' გრანტით განხორციელდა. ფედერაცია ითხოვს ვადის გახანგრძლივებას უშუალოდ ტექნიკური მიზეზების გამო, რომ მოახდინოს პროექტის ჩაბარება, სასურველია გადავუწიოთ ვადა. აღნიშნული პროექტის ფარგებში თბილისში უკვე არაერთი სპორტული ცენტრი მოეწყო. ვინაიდან ერთი პროექტია, გამიჯვნა კენჭისყრაზე ვერ მოხერხდება, მაგრამ ოქმისთვის თქვენს პოზიციას დავაფიქსირებთ. მსგავსი ტიპის გამართული ინფრასტრუქტურის დეფიციტია ქალაქში და მოთხოვნა გაცილებით აღემატება მიწოდებას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია ხელშეკრულების ვადა გადავწიოთ მიმდინარე წლის ივლისამდე და ფედერაციას პირგასამტეხლო ჩამოვაწეროთ.

ავთანდილ ცინცაძე - აღნიშნული ინფრაქტრუქტურა დიდი დატვირთვით მუშაობს და 700-ზე მეტი ბენეფიციარი სარგებლობს ამ დროისთვის. იყო შემთხვევები, როცა უარი ვუთხარით გარკვეულ ორგანიზაციებს პირგასამტეხლოს ჩამოწერაზე, მაგრამ ეს გახლავთ სოციალური პროექტი, რომელიც ვადებში აშენდა უბრალოდ არის ტექნიკური და პროცედურული ნაწილი დასასრულებელი.

ვლადიმერ ბოჟაძე - რის გამო დაეკისრა ფედერაციას აღნიშნული პირგასამტეხლო? არსებული ვადების გარდა, მას არაფერი დაურღვევია, რამაც ეს პირგასამტეხლო წარმოშვა? ანუ, რა თანხაც იყო გრანტით გამოყოფილი დაიხარჯა, ინფრასტრუქტურა მოეწყო დათქმულ ვადებში?

მარიამ კვერნაძე - ჩვენ ვაფასებთ პირგასამტეხლოს პატიების საკითხს არა იმის მიხედვით, თუ ვის რა ფინანსური საშუალება აქვს, არამედ რამდენად მიზანშეწონილია საპატიო საფუძვლები და ეს საფუძვლები არსებობს რადგან სპორტული ინფრაქტრუქტურა სრულად მოეწყო და ფუნქციონირებს დადგენილ ვადებში. პროცედურული საკითხების დასრულების მიზნით, როგორიცაა ექსპლოატაციაში მიღება და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა იმისთვის, რომ ვალდებულება ნამდვილად შესრულდა ჭირდება გარკვეული დრო. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტი სოცილაურია და უფასოდ სარგებლობენ ბენეფიციარები, აშენდა გრანტით და უკვე ფუნქციონირებს. გვაქვს საფუძველი ჩამოვაწეროთ პირგასამტეხლო. 2020 წლის ბოლომდე ქონდა ფედერაციას პროექტის დასრულებისთვის ვადა. აღნიშნული პროცესი არაა დასრულებული, მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობა დასრულებულია და ფუნქციონირებს საფეხბურთო აკადემია. მთავარი გახლავთ ის, რომ ექსპლოატაციაში მიიღოს და წარმოგვიდგინოს დასკვნა, რომ მე ყველაფერი, რაც ხელშეკრულებით მეკისრებოდა გაკავეთე. აღნიშნულის გამო ასი ლარი ერიცხება ყოველ გადაცილებულ დღეზე. ვინაიდან ერთ პროექტადაა წარმოდგენილი ამ შემთხვევაში ვერ მოხერხდება გამიჯვნა, იურიდიულად შესაძლებელია ორი პროექტის მომზადება და წარმოდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში'' ცვლილების შეტანისა და დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ:201990079) გათავისუფლების თაობაზე'' საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ავთანდილ ცინცაძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე - (4), **წინააღმდეგი** - ნინო კვიტაიშვილი (1),

თავი შეიკავა - ირაკლი ეძგვერაძე (1).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში'' ცვლილების შეტანისა და დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ:201990079) გათავისუფლების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ცვლილება განპირობებულია წინა წლის ბიუჯეტიდან დარჩენილი ნაშთის 74 779,5 ათასი ლარის ასახვით მიმდინარე წლის ბიუჯეტში. აღნიშნული თანხიდან 47 000,0 ათასი ლარი გახლავთ ბიუჯეტის აუთვისებელი ნაწილი, ხოლო 27 000,0 ათასი ლარი შემოსულობების გადაჭარბებით მიღებული ნაშთი. გარდა ამისა იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები - 11 854,7 ათასი ლარით კერძოდ აზიის განვითარების ბანკის გრანტი. ასევე, იზრდება მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 11 000,0 ათასი ლარის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ცვლილებაში ასახულია გამრავალწლიანებული ხელშეკრულებების გაგრძელება და მიღებული ეკონომიები. ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 86 660,8 ათასი ლარით და შეადგენს 1 392 079,0 ათას ლარს.

პრიორიტეტულული პროგრამებიდან იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა რეკონსტრუქცია; ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება; გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია; კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები და სხვა პროგრამები.

კომისიის თემატიკიდან გამომდინარე სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებებზე გავამახვილებ ყურადღებას, სადაც რამდენიმე მრავალწლიანი პროექტია ასახული. სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით იზრდება შემდეგი პროგრამები: სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) 78,6 ათასი ლარით, რაც მოხმარდება სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს; სპორტული მოედნების მშენებლობა/რეკონსტრუქციის (კოდი 08 06 03) ქვეპროგრამა 3 163,0 ათასი ლარით, რაც მოხმარდება ა(ა)იპ ,,ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედი"-ს მზიურის პარკის მიმდებარედ არსებული ფეხბურთის მოედნის სამშენებლო სამუშაოების დასრულებას, ასევე ახალი სპორტული მოედნის მოწყობას სხვადასხვა ლოკაციაზე, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 9 183,7 ათასი ლარით, რაც მოხმარდება ვარკეთილის მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოებს და დიდ დიღმის მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის აღჭურვას. ახალი მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებს, დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებს და ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული ცენტრის პროექტს და სამშენებლო სამუშაოებს. ასევე მატებაა ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამაში (კოდი 08 08 01) – 500,0 ათასი ლარით.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ირაკლი გვილავა - დავამატებდი, რომ ახალგაზრდობის მიმართულებით გამოყოფილი თანხები მოხმარდება სამგორის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ბიუჯეტში ასახული მრავალწლიანი პროექტების უმეტესობა უკვე დასრულებულია. ახალი

პროექტია სავაჭრო ქსელ ,,ისთ ფოინთის'' მიმდებარე ტერიტორიაზე, ვაზისუბანში, სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა მოკლებულია სპორტულ ინფრასტრუქტურას. სხვა პროექტები წლის ბოლომდე დასრულდება, უახლოეს პერიოდში გაიხსნება მზიურის სტადიონი. გეგმის მიხედვით, ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოები წლის ბოლოს დასრულდება, მოგეხსენებათ ახალი კონტრქატორი გვყავს. დიდ დიღომში მიმდინარეობს ცენტრის მოწყობის სამუშაოები. სკეიტ პარკების მოედნების მოწყობის შესახებ მალე გამოცხადდება ტენდერი, გამგეობებთან ერთად ვმუშაობთ ლოკოციების შერჩევაზე, ხოლო თემატურ ფედერაციებთან შესაბამისი სტანდარტების და ადაპტაციის კუთხით, ასევე ჩატარებული გვაქვს შესაბამისი კვლევები და შესწავლილი გვაქვს მშენებლობის სავარაუდო ღირებულების მოცულობა.

გიორგი ჩაკვეტაძე - ბიუჯეტის პროექტში ასახული ცვლილებები მნიშვნელოვანი პროექტების ხელშეწყობისთვის მისასალმებელია. ასევე კარგი ინიციატივები აქვს საქალაქო სამსახურს სკეიტ პარკების მოწყობის მიმართულებით. ყველა პროგრამა აქტიურად გრძელდება და წარმატებით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო სამუშაოები.

ნინო კვიტაიშვილი - როგორ ხდება მომუშავე პერსონალის შერჩევა მულტიფუნქციურ ცენტრებში? იქიდან გამომდინარე, რომ სერიოზული ფსიქოლოგიური ზიანი შეიძლება მიადგეს არაკვალიფიციური მწვრთნელის და პედაგოგის მუშაობას ბავშვებთან.

ირაკლი გვილავა - ეს იქნება მუნიციპალური ა(ა)იპი, რომელიც სხვადასხვა ფედერაციასთან თანამშრომლობით უნდა დაკომპლექტდეს შესაბამისი სერთიფიკატის მქონე მწვრთნელებით და პერსონალით, რომელთაც აქვთ ბავშვებთან მუშაობის სპეციალური ცოდნა და გამოცდილება, ვინაიდან ამას ჭირდება შესაბამისი უნარების გამომუშავება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მუდმივად უნდა ხდებოდეს მათი კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების პროცესი. ჩვენ სპორტის უნივერსიტეტთან ერთად დავიწყეთ მუნიციპალურ პროგრამებში ჩართული ყველა მწვრთნელის გადამზადება, საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ვლადიმერ ბოჟაძე - იქიდან გამომდინარე, რომ სკეიტბორდინგი გახდა ოლიმპიური სახეობა მნიშვნელოვანია მისი განვითარება, რისთვისაც მადლობას ვუხდით მერიას. ზღვის უბანში და ვარკეთილში უკვე ეწყობა შესაბამისი, თანამედროვე სტანდარტების მქონე მოედნები და მალე კიდე ახალი პროექტებიც შეემატება. სპორტის უნივერსიტეტი განსაკუთრებული ყურადღებითაა ჩართული ბავშვებთან მუშაობის კუთხით მწვრთნელთა გადამზადების და შერჩევის პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ავთანდილ ცინცაძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე (2).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ კომისიას სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ წარუდგინა.

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მოვალეობის შემსრულებლად წარმოგიდგენთ გივი ჩხარტიშვილის კანდიდატურას, მას ყველა იცნობთ და გთხოვთ დაუჭიროთ მხარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის შესაბამისად კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, გივი ჩხარტიშვილის კანდიდატურას კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე